ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებული რეკომენდაციების პაკეტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს, „სოციალური სამართლიანობის ცენტრისა“ და ,,ახალგაზრდები დემოკრატიული ცვლილებებისთვის'' მიერ კოალიციურად შემუშავებულ საბიუჯეტო ინიციატივებს, რომელიც ეყრდნობა ჩვენს დაკვირვებებს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

ცხადია, ჩვენ გვესმის ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსებისა და მანდატის შეზღუდულობის საკითხი, ასევე ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეციის ფართე ზღვარი და ის, რომ შეიძლება მათ უკეთ იციან კონკრეტული საკითხების გადაჭრის გზები. ჩვენს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების მიზანი უფრო მეტად ჩვენთან ადგილობრივი თემების მიერ გაზიარებული პრობლემების აქტუალიზება და პოლიტიზირებაა. იმედს გამოვთქვათ, რომ აღნიშნული დოკუმენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ადამიანის უფლებების დაცვაზე და რეალურ სოციალურ საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებაში დაეხმარება.

ჩვენ ასევე გამოვთქვამთ იმედს, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მხედველობაში მიიღებენ წარმოდგენილ რეკომენდაციებს და საჯარო განხილვის ფორმატში მათი კიდევ უფრო დეტალური განხილვის შესაძლებლობას მოგვცემს.

აქვე გამოვხატავთ ჩვენს მიდგომას, რომლის გათვალისწინება არსებითია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.

1. **ეთნიკური უმცირესობების ორმაგი სოციალური და პოლიტიკური გარიყულობა და არსებითი თანასწორობისთვის სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური პოლიტიკური მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა.** ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა, სოციალური ინკლუზია, განათლების უფლების თანასწორი რეალიზება ორმაგადი გამოწვევების წინაშე დგას ჩვენს ქვეყანაში, რასაც არა ერთი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, მათ შორის, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიაც, ადასტურებს. მაგალითად, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2021 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევისა და სოციალური სამართლიანობის ცენტრის ანალიზის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები 15%-ით უფრო ღარიბები არიან, ხოლო უმაღლესი/ტექნიკური განათლების მაჩვენებელი უმცირესობებს შორის დაახლოებით 2 ჯერ უფრო ნაკლებია. **შესაბამისად, არსებითია, რომ სახელმწიფომ არსებული ასიმეტრიული და უთანასწორო უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და სოციალური ინკლუზიის მიზნით სპეციალური პოლიტიკების გატარებითა და გაორმაგებული პოზიტიური ძალისხმევის გაწევით აღმოფხვრას.** ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციებიც სწორედ ამგვარი მოწოდებას და მიდგომას ეფუძნება.

2. **სოციალური უფლებების პროგრესული რეალიზების პრინციპი.** ამასთან ჩვენ

წარმოდგენილ რეკომენდაციაში გათვალისწინებული სოციალური უფლებების რეალიზების ნაწილში სრულად ვიზიარებთ, მათი პროგრესული რეალიზაციის კონცეფციას, რომელიც ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებს აქვთ მუდმივი და განვითარებადი პასუხისმგებლობა შეასრულონ და დაიცვან თავიანთი მოქალაქეების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. სოციალური უფლებები, ასევე ცნობილი როგორც სოციალურ-ეკონომიკური უფლებები ან კეთილდღეობის უფლებები, მოიცავს ადამიანის უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდების კეთილდღეობასთან და ღირსებასთან, როგორიცაა განათლების, ჯანმრთელობის, საცხოვრებელი და სამუშაოს უფლება. ტერმინი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების „პროგრესული რეალიზება" გულისხმობს პრინციპს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გადადგან ნაბიჯები, მათი არსებული რესურსებით, რათა დროთა განმავლობაში თანდათან მიაღწიონ ამ უფლებების სრულ რეალიზებას. სოციალური უფლებების პროგრესული რეალიზაციის ძირითადი ელემენტებია: 1. **რესურსების შეზღუდულობა:** ეს პრინციპი აღიარებს, რომ სახელმწიფოებს შეიძლება შეექმნათ რესურსების შეზღუდვები და, შესაბამისად, სოციალური უფლებების სრული რეალიზაცია შეიძლება დაუყოვნებლივ არ იყოს **მიღწეული. თუმცა, ის მოითხოვს სახელმწიფოებს გადადგან მიზანმიმართული, კონკრეტული და მიზანმიმართული ნაბიჯები ამ უფლებების რეალიზაციისკენ, თუნდაც ეს მოხდეს თანდათანობით.** 2. **დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორობა:** სახელმწიფოებისგან მოელიან, რომ სოციალური უფლებების პროგრესული რეალიზაციის სარგებელი სამართლიანად გადანაწილდეს და მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფები არ დაზარალდნენ არაპროპორციულად. 3. **მინიმალური ძირითადი ვალდებულებების პრინციპი:** მიუხედავად იმისა, რომ სრულ განხორციელებას შეიძლება დრო დასჭირდეს, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეასრულონ გარკვეული ძირითადი ვალდებულებები. ეს ძირითადი ვალდებულებები მოიცავს ისეთ აუცილებელ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფას, როგორიცაა დაწყებითი განათლება, ძირითადი ჯანდაცვა და აუცილებელი საკვები. ამდენად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზებისთვის საჭირო თანმიმდევრული პოლიტიკების დანერგვასა და განხორციელების მიდგომზე დგას. ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ, რომ სახელმწიფოს (ადგილობრივ თვითმმართველობას ამ შემთხვევაში) შეიძლება არ გააჩნდეს მათი პირდაპირი და დაუყოვნებელი რეალიზების რესურსები, **მაგრამ უნდა შექმნას გეგმა, პოლიტიკა და მოახდინოს შესაბამისი საბიუჯეტო რესურსების მობილიზება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ საბოლოო და სრულ რეალიზეციას.** ამასთან არსებითია გავაცნობიეროთ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური, ისევე როგორც სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები **არის უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული და** შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების ნაწილში სოციალურ გარიყულობასთან დაკავშირებული პრაქტიკები პირდაპირ ახდენს გავლენას მათ პოლიტიკურ მონაწილეობაზე და სხვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზებაზე.

3. **ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობის აუცილებლობა, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შუქზე.** ევროპის საბჭოს

ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ, წევრ სახელმწიფოებს უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობისთვის სათანადო პირობების შექმნას ავალდებულებს. კონვენცია არ აკონკრეტებს, რა იგულისხმება სათანადო პირობებში, თუმცა მის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კონვენციის მე-15 მუხლი მიზნად ისახავს წაახალისოს რეალური თანასწორობა ეთნიკურ უმცირესობას და უმრავლესობას შორის. სწორედ ამგვარი სათანადო პირობების შესაქმნელად, განმარტებით ბარათში რამდენიმე საშუალებაა განხილული: 1. კონსულტაციები უმცირესობის წარმომადგენლებთან შესაბამისი პროცედურების გზით, განსაკუთრებით, წარმომადგენლობითი ინსტიტუციების გავლით, სადაც მხარეები ადმინისტრაციულ თუ საკანონმდებლო ფუნქციებს ასრულებენ; 2. ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა ეროვნული თუ რეგიონული განვითარების გეგმების მომზადებაში, შესრულებასა და შეფასებაში, რომლებიც უმცირესობებზე ახდენს გავლენას; 3. კვლევების ჩატარება იმის შესაფასებლად, თუ რა გავლენას ახდენს დაგეგმილი პროექტები უმცირესობებზე 4. უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არჩევით ინსტიტუციებში ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე; 5. ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზებული ფორმები. კომიტეტი აღნიშნავს, რომ საკონსულტაციო მექანიზმები დამატებითი გზაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უმცირესობების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მსგავსი მექანიზმები კი განსაკუთრებით მაშინ არის საჭირო, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს უმცირესობების საპარლამენტო დონეზე, ან სხვა არჩევით სისტემებში მონაწილეობის მექანიზმები, ხოლო უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობის და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ხარვეზებია.

აქვე ხაზგასასმელია, **ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის** [დამატებითი ოქმი,](#) რომელიც ადგენს ადგილობრივი ხელისუფლების საქმეებში მოქალაქეების მონაწილეობის უფლებას. ქარტიის შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების საქმეებში მონაწილეობის უფლება ნიშნავს მოქალაქის უფლებას რეალური გავლენა მოახდინოს ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობების განხორციელებაზე. ქარტიის შესაბამისად, მონაწილეობის უფლების განმახორციელებელი ღონისძიებები მათ შორის, შეიძლება იყოს: მოსახლეობის მონაწილეობის სხვადასხვა მექანიზმები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს საკონსულტაციო პროცესებს, ადგილობრივ რეფერენდუმებსა და პეტიციებს; ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის პროცედურები; ღონისძიებებს იმ კატეგორიის ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც აწყდებიან მონაწილეობის სპეციფიკურ ბარიერებს; ადგილობრივი ხელისუფლებისა და საჯარო სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივ დონეზე საჩივრებისა და წინადადებების განხილვისა და მათზე რეაგირების მექანიზმებსა და პროცედურებს; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წახალისება ამ ოქმში დადგენილი მონაწილეობის უფლების გასაადვილებლად.მხედველობაში მიიღებენ წარმოდგენილ რეკომენდაციებს და საჯარო განხილვის ფორმატში მათი კიდევ უფრო დეტალური განხილვის შესაძლებლობას მოგვცემს.

მნიშვნელოვანია, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იქნას შემდეგი მიმართულებების დაფინანსება:

- *ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებ უჩმანა, ეშტია, სათხა, განძა და მამზარა ბიბლიოთეკის შენობების რეაბილიტაცია მულტიფუნქციური სათემო სივრცეების შექმნისათვის;(დანართი 1);*
- *ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დასახლებული აჭარელი ეკომიგრანტებისთვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწის ნაკვეთის გამოყოფა (სტატუსის მინიჭება) სასაფლაოს მოსაწყობად და შემდეგი მოვლა-პატრონობისათვის(დანართი2)*

აღნიშნულ საბიუჯეტო ინიციატივებთან ერთად, გვსურს, რომ კონკრეტული რეკომენდაციებით მოგმართოთ შემდეგი საკითხების გადაწყვეტის მიზნით:

რეკომენდაცია :1

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე და ადაპტირებაზე ორიენტირებული პროგრამების ამუშავება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არსებობს შშმ პირების მხარდამჭერი სპეციალური დაწესებულება, სივრცე სადაც მათ შეეძლებათ სახლთან ახლოს მიიღონ საჭირო სერვისები. აღნიშნული საჭიროების გადასაწყვეტად აუცილებელია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ასევე კერძო სექტორის ერთობლივი მუშაობა. თუმცა ამავდროულად შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა იზრუნოს შშმ პირების საცხოვრებელი გარემოს ადაპტირებაზე საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრეცენდენტი არსებობს ქართულ პრაქტიკაში. მარნეულის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ე.წ. „ნათელი ოთახის“ კონცეფცია, რაც გულისხმობს სხვადასხვა საჭიროების შშმ პირების საცხოვრებელი სივრცის მორგებას მათ საჭიროებებთან. შესაბამისად, შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა განსაზღვროს ყოველ წლიურად იმ შშმ პირების რაოდენობა, რომელსაც დაეხმარება საცხოვრებელი სივრცის ადაპტირებაში და განგრძობითად, ყოველ წლიურად გაითვალისწინოს ეს საჭიროება ბიუჯეტის დაგეგმარებისას.

რეკომენდაცია: თვითმმართველობის ორგანოებმა იზრუნონ მუნიციპალიტეტიში მცხოვრები შშმ პირების რაოდენობრივ აღრიცხვასა და საცხოვრებელი სივრცის ადაპტირებაში.

რეკომენდაცია:2

საფთიაქო ქსელისა და ჯანდაცვის რესურსების შექმნის მხარდაჭერა სოფლებში.

უმნიშვნელოვანესია, ადამიანებს ხელი მიუწვდებოდეთ თუნდაც პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების ძირითად ნაწილში არ არის აფთიაქი, ამასთან, სოფლის ექიმი, რომელიც რამდენიმე სოფელს ემსახურება, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებებს. ხშირ შემთხვევაში სოფლის ექიმები თვეობით არ

იმყოფებიან ადგილზე, შესაბამისად მათთან დაკავშირება მნიშვნელოვან სიძნელეებს უკავშირდება. საყოველთაო სიღარიბე და რესურსებზე წვდომის არქონა, პირდაპირ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ჯანმრთელობის დაცვაზე ხელმისაწვდომობის უფლება, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტითაა გარანტირებული. საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლებაა, მიიღოს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება. ხელმისაწვდომობაზე საუბრობს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. სახელმწიფოში დაცული უნდა იყოს თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობა და მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ყოველწლიურ ანგარიშებში, მუდმივად უთითებს „სოფლის ექიმის“ პროგრამის გაფართოების მნიშვნელობაზე და პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული არეალისა და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდაზე; ასევე, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრიორიტეტულობაზე.

რეკომენდაცია: თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ სააფთიაქო ქსელებთან/კომპანიებთან ადვოკატირების პროცესის ორგანიზება, იმისათვის, რომ ნინოწმინდის სოფლებში მოხერხდეს სააფთიაქო სივრცისა და ამბულატორიის გახსნა.

რეკომენდაცია:3

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა.

წარმოდგენილი რეკომენდაცია გულისხმობს, ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერებას სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისა და კონსულტირების პროცესში. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იქნება რელევანტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან კომუნიკაციის გაძლიერება და მათი მხარდაჭერის მოპოვების გზების ძიება. ამასთან აუცილებელია მუნიციპალიტეტში ხელი შეეწყოს, მეცხოველეობის განვითარებას, ვინაიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ მეცხოველეობითაა დაკავებული და მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში სისტემურად მოხდეს საძოვარ და სათიბ მიწებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, რომელიც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობას აწუხებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის პირდაპირი ვალდებულება არ არის განახორციელოს სოფლის მეურნეობის დახმარებისა და განვითარების პროგრამები, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 (4) მუხლი, თვითმმართველ ერთეულს ანიჭებს უფლებამოსილებას განახორციელოს იმგვარი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას. რაც ერთი მხრივ, იქნება მნიშვნელოვანი მაგალითი რესურსების ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის გადანაწილებისა და მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი რესურსი იქნება მოსახლეობის დასახმარებლად. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში,

განსაკუთრებით პრობლემურია ინფორმაციაზე წვდომა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა შექმნას რესურსი (არამხოლოდ თარგმნოს არამედ აქტიურად გააცნოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციაზე ახალი ინფორმაციები და ამით მოახდინოს საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების, ასევე საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

რეკომენდაცია: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გააძლიერონ მუნიციპალური კამპანიები, რათა სახელწმიფოს სოციალური პროგრამებისა და მათთვის მიმართვის პროცედურების შესახებ მოსახლეობა მეტად ინფორმირებული იყოს.

რეკომენდაცია:4

სამოქალაქო საბჭოში ინტერ-კულტურული საქმიანობის გაძლიერება

აღნიშნული რეკომენდაცია გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან არსებული სამოქალაქო საბჭოების ინტერ-კულტურული ინტერ-კულტურული საქმიანობის გაძლიერებას, რაც ნინწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თემის ლიდერებს გაერთიანებდა და თანასწორი, სოლიდარული და მულტიკულტურული გარემოს შექმნას შეუწყობდა ხელს. სამოქალაქო საბჭო, როგორც საკონსულტაციო პლატფორმა იქმნება თვითმმართველობის ორგანოებისთვის.

საკონსულტაციო მექანიზმებს არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ დღის წესრიგში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საჭიროებების, უფლებების და ინტერესების დასაყენებლად და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე მათი გავლენის გასაზრდელად. ამავე დროს, საკონსულტაციო მექანიზმები დელიბერაციისა და ინტერკულტურული დიალოგის, მშვიდობისა და სოლიდარობის ხელშემწყობი სივრცეებია და მას მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები მიზნად ისახავს ყველა მოქალაქის, მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საჭიროებების და წუხილების მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე მიტანას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მექანიზმები ადგილობრივ დონეზე სუსტად მუშაობს და რეალური მონაწილეობის და დემოკრატიის პლატფორმებად არ არის ქცეული.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ამას ემატება სისტემური გამოწვევები (ენის პოლიტიკა, ენის ცოდნა, დემოკრატიული პრაქტიკების სუსტი გამოცდილება, სუსტი რეპრეზენტაცია, გაუცხოების და უნდობლობის მაღალი დონე, სოციალური ფრუსტრაცია და ა.შ.), რომლებიც ამგვარი მექანიზმების ეფექტიან და რეალურ მუშაობას კიდევ უფრო ართულებს. თუმცა იმ კრიტიკის მიუხედავად, რაც ამ მექანიზმების მუშაობას შეიძლება მიემართებოდეს, იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ, უმცირესობებისთვის ცალკე საკონსულტაციო მექანიზმები არ არსებობს, რომელიც ადგილზე მათ საჭიროებებსა და უფლებებზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებისა და ინტერეთნიკური და ინტერკულტურული დიალოგის

პლატფორმა გახდებოდა. ამგვარი პლატფორმების არსებობა მით უფრო მნიშვნელოვანია ნინოწმინდაში სადაც სხვადასხვა ეკომიგრანტების ჯგუფები ცხოვრობს და მათ საერთო თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია და მეხსიერება არ აქვს, რაც ადგილობრივი საზოგადების ფრაგმენტაციას, იზოლაციას და გაუცხოებას შეიძლება განაპირობებდეს. უფრო ინკლუზიური და დემოკრატიული ადგილობრივი თემის მშენებლობისთვის ამგვარი პროგრესული მიდგომების დანარგვას პრევენციული მიზანი ასევე აქვს.

რეკომენდაცია: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან არსებულ სამოქალაქო საბჭოებში გაზარდოს რეპრეზენტაცია და მონაწილეობა უმცირესობებისა და კულტურული მრავალფეროვნებას ხელის შეწყობის მიზნით;

რეკომენდაცია :5

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემების და საჭიროებების კვლევა და სამთავრობო უწყებებთან ამ საკითხების აქტიურად დაყენება.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ აჭარელი ეკომიგრანტები (სოფლებში: გორელოვკა, სპასოვკა, ეფრემოვკა), მათი საცხოვრებელი სახლები და სოფლები ზემო აჭარაში საკმაოდ არამდგრადი და სიცოცხლისთვის საშიში იყო და ამის გამო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 90-იანი წლების ბოლოდან 2007 წლამდე ეტაპობრივად ჩამოვიდნენ. თუმცა მათ გადმოსახლებას წინ უძღვოდა დაპირებები, რომ მათ ნინოწმინდაში მაინც ექნებოდათ საცხოვრებელი პირობები და მდგრადი სახლები, თუმცა აშკარაა, რომ აჭარელი ეკომიგრანტების ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი განსაკუთრებული არამდგრადობით და არასტაბილურობით ხასიათდება.

დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ეკომიგრანტების განსახლებამდე ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ჩაუტარებიათ მოსამზადებელი მუშაობა ადგილობრივ მოსახლეობასთან ეკომიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, ეკომიგრაციის პროცესის ორგანიზება და ეკომიგრანტებისთვის გამოყოფილი რესურსები ყველა ეკომიგრანტისთვის ერთნაირი არ იყო და ზოგ შემთხვევაში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლების შეძენის პროცესი ძალიან პრობლემურად წარიმართა. პრობლემები, რომლებიც ეკომიგრანტებისთვის შეძენილი სახლების საკუთრების საკითხს უკავშირდება, თავისთავად ხელს უშლის ეკომიგრანტების ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პირველ რიგში საცხოვრებელ სახლებზე და მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების არ არსებობა, საშუალებას არ აძლევს ეკომიგრანტებს, შედარებით დაბალპროცენტიანი კრედიტები აიღონ, რათა განვითარდნენ, როგორც მცირე ფერმერები. მათ არ აქვთ საშუალება ისარგებლოს მნიშვნელოვანი მუნიციპალური სერვისებით, რაც შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ეკომიგრაციის მდგრადობის უზუნველყოფის თვალსაზრისით, რამდენადაც ხელს უშლის ეკომიგრანტებს, თავი „საკუთარ სახლში“ იგრძნონ. შესაბამისად, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისა და „ახალ“ გარემოში ინტეგრაციის სათანადო პროგრამებისა და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის პირობებში,

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტი ოჯახები ურთულეს პირობებში განაგრძობენ ცხოვრებას, რასაც თან ახლავს გამოსახლების მუდმივი მოლოდინი და უსახლკაროდ დარჩენის შიში. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა მოხდეს ეკომიგრანტების საჭიროებების სისტემატიზირებული კვლევა და შემუშავდეს ერთიანი პოლიტიკა, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ეკომიგრანტების წინაშე არსებული საცხოვრისის პრობლემების მოსაგვარებლად.

ამასთან აჭარელი ეკომიგრანტები არაერთი წელი ითხოვენ მათთვის ტერიტორიის გამოყოფას სასაფლაოს მოსაწყობად, მათ დღემდე მიცვალებულების გადასვენება უწევთ აჭარაში. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა დროულად მოახდინოს ამ პრობლემის მოგვარება და გამოუყოს მათ ტერიტორია სასაფლაოს მოწყობისთვის. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხის გამოყოფა რათა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განახორციელებს მაღალმთიანი აჭარიდან გადმოსახლებული, სტატუსის მქონე თუ არ მქონე, ეკომიგრანტების პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლას. განსაკუთრებით საცხოვრისთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევას და შემდგომ აღნიშნული საკითხების დაყენებასა და ლობირებას შესაბამის სამთავრობო უწყებებთან, რათა ეკომიგრანტების საცხოვრისის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება დაიწყოს სისტემატიზირებულად და არსებობდეს პრობლემის მოგვარების ერთიან ხედვა, როგორც მუნიციპალიტეტის შიგნით ისე ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოებში.

რეკომენდაცია: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უნდა გამოიყოს თანხა, სამუშაო ჯგუფის შექმნისთვის, რომელიც განახორციელებს მაღალმთიანი აჭარიდან გადმოსახლებული, სტატუსის მქონე თუ არ მქონე, ეკომიგრანტების პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლას. განსაკუთრებით საცხოვრისთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევას და შემდგომ აღნიშნული საკითხების დაყენებასა და ლობირებას შესაბამის სამთავრობო უწყებებთან.

რეკომენდაცია:6

ბაღის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელში ბაღის ასაკის ბავშვებს არ ემსახურება ტრანსპორტი. ბავშვებს სიარული რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ბაღებში უწვეთ. ძირითადად ბავშვების გადაადგილებას თავად მშობლები უზრუნველყოფენ და ქირაობენ ტრანსპორტს, რომელსაც ბავშვები მიჰყავს ბაღში და უკან აბრუნებს. ეს მშობლებისთვის დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა ყველა ბაღში, გამოყოს ტრანსპორტი და თავად უზრუნველყოს ბაღის მოსწავლეების გადაადგილება

რეკომენდაცია: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს თანხა, რომლითაც მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღებიდან დაშორებული სოფლებიდან ბავშვების ტრანსპორტირება.

რეკომენდაცია:7

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურისა და მათი სამუშაო ინსტრუმენტების გაძლიერება და სენსიტივიზაცია.

მნიშვნელოვანია სოციალურ სამსახურში მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდეს თანამშრომლების გაძლიერება ტრენინგებისა და სხვა დამხმარე სასწავლო კურსების მეშვეობით. ადგილობრივი ხელისუფლებას ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია არ აქვს. შესაბამისად, სოციალურ სამსახურში დასაქმებულმა სოც. მუშაკებმა უნდა შეძლონ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის გამოსაკვეთად ყოვლისმომცველი და სამართლიანი კრიტერიუმების შემუშავება და მათი გამოყენებით მოწყვლადი ოჯახებისა და მათი საჭიროებების ბაზის შექმნა. ამასთან მნიშვნელოვანია დამატებითი სამუშაოების ჩატარება სახელმწიფოს სოციალური პროგრამებისა და მათთვის მიმართვის პროცედურების შესახებ მოსახლეობის უკეთესი ინფორმირებისთვის.

რეკომენდაცია: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღებისათვის, დაგეგმონ სოციალური სამსახურის თანამშრომლებისათვის ტრენინგებისა და დამხმარე სასწავლო კურსები; შეიქმნას მუნიციპალიტეტის სოფლებში დასახლებული მოსახლეობის საჭიროებების ბაზა; გააძლიერონ კამპანიები სოციალური მომსახურეობის შესახებ უკეთესი ინფორმირებულობისთვის;

რეკომენდაცია :8

ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაძლიერება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. გაეროს დამფუძნებელი დოკუმენტი, გაეროს ქარტია, მოიცავს საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის საფუძვლებს: თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ასევე იცავს ნებისმიერ ადამიანს ყველა სახის დისკრიმინაციისაგან, მათ შორის სქესის ნიშნითაც. საერთაშორისო კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებებისთვის და საერთაშორისო კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისთვის, ორივე ეს დოკუმენტი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან გამომდინარეობს და აყალიბებს კიდევ უფრო მეტად სპეციფიკურ შეთანხმებას თანასწორობის უფლებაზე ქალსა და კაცს შორის, საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რეკომენდაცია: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს სოფლებში მცხოვრები ქალთა საჭიროებები და შესაბამისად ასახოს ისინი პოლიტიკის დოკუმენტებში; ადგილობრივ დონეზე შეიქმნას სათანადო ცოდნითა და მგრძნობელობით აღჭურვილი ფასილიტაციის ინსტიტუტები, რაც დაეხმარებათ ქალებს სოფლის კრებებსა თუ სხვა ტიპის ადგილობრივ

შეხვედრებში მეტად ჩართულები იყვნენ; სოციალური და ჯანდაცვის სერვისების შესახებ კამპანიების გაძლიერება ქალების ჩართულობის გათვალისწინებით; საჯარო სამსახურებში ქალების დასაქმების წახალისება'

რეკომენდაცია :9

სასმელი და სარწყავი წყლის ინფრასტრუქტურის შექმნა.

მნიშვნელოვანი პრობლემაა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სარწყავი წყალი. მუნიციპალიტეტი საერთოდ ვერ სარგებლოს სარწყავი წლით, მაშინ როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ჩართულია სოფლის მეურნეობაში და მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ რესურსით სარგებლობა. ამასთან სეზონურად იქნება სასმელი წყლის პრობლემაც, თითქმის ყველა სოფელში.

საზოგადოების განვითარება სრულად თუ არა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წყლის რესურსების რაოდენობასა და ხარისხზე. უსაფრთხო სასმელ წყალზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უფლება, პირდაპირ კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და კეთილდღეობასთან. წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების უგულებელყოფით ირღვევა თითოეული ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, განათლების, პირადი ცხოვრების, ღირსების, სოციალური და ეკონომიკური უფლებები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით თითოეული სახელმწიფო, ვალდებულია უზრუნველყოს წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების აღიარება, დაცვა და განხორციელება. წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების დაცვის მთავარი ვალდებულება, ვრცელდება როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივ ხელისუფლებაზეც. საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გარემოს დაცვა და ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უფლებების დაცვისთვის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფა. ასოცირების შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს ასევე იღებს ვალდებულებას წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია: 10

მიწასთან დაკავშირებული პოლიტიკის ორგანიზება.

მუნიციპალიტეტის სოფლების უმეტესობას მწვავედ აწუხებს საძოვარი მიწის საკითხი, განსაკუთრებით, ნინწმინდაში მცხოვრებ ეკომიგრანტებს. აღსანიშნავია, რომ მიწის აღიარების კომისია მუნიციპალიტეტში ვერ მუშაობს ეფექტურად, მოსახლეობის ნაწილს რომელსაც შეტანილი აქვს განცხადება წლებია არ გაწევია სათანადო მომსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე მიწის აღიარების კომისიის თანამშრომელებს სჭირდებათ მეტი ფინანსური რესურსი, რათა უკეთ და უფრო ეფექტურად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა. ფინანსური რესურსის გამოყოფა თავისთავად უნდა განხორციელდეს კომისიის თანამშრომლების გადაადგილების და სხვა ტექნიკური საშუალებებით მომარაგების უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია: მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში შეიქმნას მიწის საკითხებზე მომუშავე კომისია, რომელიც განსაზღვრავს თითოეული სოფლისთვის საძოვარი მიწების სამართლიან და მიზნობრივ განაწილებას.

რეკომენდაცია:11

სპორტული და კულტურული სივრცეების მშენებლობა/მოწყობა.
ნინიწმინდის სოფლების ცალკეულ ნაწილებში ეწყობა სპორტული სივრცეები, თუმცა ისინი სათანადოდ არ ფუნქციონირებს.

რეკომენდაცია: მნიშვნელოვანია მოხდეს მათი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა, ასევე სპორტულ სივრცეს ჰყავდეს ინსტრუქტორი და შესაბამისი პირი, რომელიც გააკონტროლებს ინვენტარის არ დაზიანების საკითხს.

რეკომენდაცია:12

ეთნიკური უმცირესობების იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვა და ხელშეწყობა, უმცირესობების კულტურის პოპულარიზების გზით
მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა გადადგას ქმედითი ნაბიჯები იმისთვის, რომ რეგიონში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების კულტურა გააცნოს საზოგადოებას და ხელი შეუწყოს ამ კულტურის პოპულარიზებას. მნიშვნელოვანია რომ კულტურულ შეხვედრებზე მოხდეს არა მხოლოდ ადგილობრივი წარმომადგენლების დასწრება არამედ სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეულ იქნან წარმომადგენლები, რომლებიც უკეთ გაეცნობიან ადგილობრივ კულტურას.

რეკომენდაცია: ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა ითანამშრომლონ ადგილობრივ აქტივისტებთან, სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და თემით დაინტერესებულ მკვლევრებთან კულტურული და საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზების მიზნით.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო ინიციატივები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება 2024 წლის ბიუჯეტში. დანართის სახით გიგზავნით თითოეული ინიციატივის თაობაზე უფრო დეტალურ აღწერას და საჭიროების დასაბუთებას.